პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა ინგლისურ ენაზე).

შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ის ვებგვერდზე: https://gtu.ge/. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

პროგრამის მიზანია:

- შეასწავლოს სტუდენტს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვით ორგანიზაციების ფუნქციონირების, დაგეგმვის, ხელმძღვანელობისა და მუშაობის მრავალმხრივი თეორიული და პრაქტიკული საკითხები;
- აღჭურვოს სტუდენტი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადი, კონკურენტუნარიანი, ინოვაციური და კრეატიული იდეების განვითარებაზე ორიენტირებული, ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების, პრაქტიკული, სამეცნიერო და შემოქმედებითი მუშაობის უნარებით

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

1. სიღრმისეულად და სისტემურად განიხილავს ბიზნესის მართვის სფეროსთან დაკავშირებულ თანამედროვე კონცეფციებს, თეორიებს, მიდგომებსა და მოდელებს ბიზნესის მართვის ფუნქციების სპეციფიკის გათვალისწინებით;
2. კრიტიკულად და არგუმენტირებულად მსჯელობს ბიზნესის მმართველობითი და მარკეტინგული სტრატეგიების საკვანძო საკითხებზე ბიზნესის ადმინისტრირების თანამედროვე ინოვაციური მიდგომების, მმართველობითი გადაწყვეტილებების მომზადებისა და მიღების, მათი რეალიზაციის სოციალური, ორგანიზაციული, ეკონომიკური, ფინანსური და სხვა შედეგების შეფასების საფუძველზე;
3. აანალიზებს ბიზნესის განვითარების ინოვაციურ შესაძლებლობებს, ტენდენციებს და იღებს გადაწყვეტილებას განვითარების სტრატეგიაზე სიახლეების ეფექტიანობის შეფასებისა და განვითარების მიზნით;
4. ახდენს ბიზნესის მართვის სფეროსთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებას, ფორმულირებას და ორიგინალური გზებით (მათ შორის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გამოყენებით) გადაწყვეტას, როგორც ადგილობრივ ასევე, საერთაშორისო მასშტაბით;
5. რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების ალბათურ-სტატისტიკური ანალიზით, ინტერპრეტაციისა და ექსტრაპოლაციის გამოყენებით იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს, კომპანიის ღირებულების ამაღლებისა და ფინანსური მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით;
6. დამოუკიდებლად წარმართავს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსთვის აუცილებელ ანალიტიკურ/საპროგნოზო, გამოყენებით კვლევას ინდუქციური/დედუქციური, რაოდენობრივი/თვისებრივი მეთოდებით (სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი) აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და სტანდარტების გამოყენებით;
7. დამოუკიდებლად შეიმუშავებს ან/და წარმართავს პროექტებს უცნობ და მულტი დისციპლინურ გარემოში საერთაშორისო ბიზნესის სამართლებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით;
8. ქართველი და უცხოელი მკვლევარების მიერ მიღებული შედეგების განზოგადებისა და კრიტიკული შეფასების, აქტუალური პრობლემების გამოვლენისა და ფორმულირების საფუძველზე ეფექტურად წარადგენს (ზეპირი ან/და წერილობითი ფორმით) კვლევის შედეგებს, მიგნებებს, არგუმენტებს და დასკვნებს როგორც აკადემიური ასევე,

პროფესიული საზოგადოებისთვის და დაინტერესებული მხარეებისთვის; 9. იზიარებს და აფასებს ორგანიზაციის სოციალური პასუხისმგებლობისა და ბიზნეს ეთიკის ნორმებს/პრინციპებს, არსებულ პრაქტიკას, სამართლებრივი და პროფესიული ეთიკის მოთხოვნებს და ტრადიციულ მორალურ-ზნეობრივ ნორმებს; 10. დამოუკიდებლად განსაზღვრავს შემდგომი სწავლისა და განვითარების საჭიროებებს საკუთარი ინტელექტუალური და კულტურული უნარების გამოყენების საფუძველზე, ავლენს პროფესიული განვითარების, თვითგანვითარების, თვითრეალიზაციისა და შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზაციისა და კარიერის დაგეგმვის უნარს;
სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით. დადებითი შეფასებებია: • **(A)** - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; • **(B)** - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა; • **(C)** - კარგი - შეფასების 71-80 ქულა; • (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა; • (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა. უარყოფითი შეფასებებია: • (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; • (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სტუდენტის შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების ფორმები, რომელსაც განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში: შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა – 60, აქედან: მიმდინარე აქტივობის მაქსიმალური ქულაა – 30, მინიმალური ჯამური დადებითი შეფასებაა – 15 ქულა; შუასემესტრული გამოცდის მაქსიმალური ქულაა – 30, მინიმალური დადებითი შეფასებაა – 15 ქულა; დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულაა – 40, მინიმალური დადებითი ქულაა - 20. დამატებითი გამოცდა ტარდება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. სილაბუსებში მოცემულია სტუდენტის ცოდნის შეფასების შესაბამისი ფორმები და მეთოდები. შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა. კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი მოცემულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე http://gtu.ge/pdf/magistraturis_danarti_4_Sefasebis_wesi.pdf

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

№	სავალდებულო სასწავლო კურსები	კრედიტი
1.	მენეჯერული ეკონომიკა	5
2.	ფინანსური მენეჯმენტი	6
3.	ბიზნეს-სტატისტიკა	4
4.	მარკეტინგის მენეჯმენტი	5
5.	ენტერპრენიორობა	6
6.	ინოვაციური მენეჯმენტი	4

7.	მიწოდების ჯაჭვის მართვა	5
8.	კვლევის მეთოდები	6
9.	ციფრული ბიზნესის მარკეტინგი	5
10.	პროექტების მენეჯმენტი	4
11.	ადამიანური რესურსების სტრატეგიული მენეჯმენტი	5
12.	საგადასახადო მენეჯმენტი	5
13.	ბიზნეს პროგნოზირება	5
14.	ბიზნეს-სამართალი	5
15.	სტრატეგიული მენეჯმენტი	5
16.	საწარმოო პრაქტიკა ბიზნესის ადმინისტრირებაში	10
	არჩევითი საგნები	
17.	საქმიანი ენა	5
18.	დროის მენეჯმენტი	5
19.	ტურიზმის, მასპინძლობისა და ღონისძიებების სტრატეგიული მენეჯმენტი	5
20.	რეკლამა და პრომოცია	5
	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა	30